სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 13

2019 წ. "27" 03

ქ.თბილისი

,,შპს ,,გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი+''-ის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ'' პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 იანვრის №11 გადაწყვეტილების გაზიარების შესახებ

,,შპს ,,გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი+''-ის სააპელაციო საჩივრის, წარმოების მასალების, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 იანვრის №11 გადაწყვეტილების შესწავლისა და სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26^7-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. გაზიარებულ იქნას ,,შპს ,,გურჯაანის მრავალპროფილიანი კოლეჯი+''-ის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ'' პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 28 იანვრის №11 გადაწყვეტილება.
2. სააპელაციო საბჭოს 2019 წლის 27 მარტის №6 სხდომის ოქმი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონით დადგენილი წესით და ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ნოდარ პაპუკაშვილი

მდივანი
გრიგოლ ტატიშვილი